საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 60

24 05 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია ,,მერსი ქორფი"-საგან გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის სხდომის N9 ოქმის მერვე საკითხის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3036 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ თოფჩიშვილს, მარნეულის მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადებების კონტროლისა და კატასტროფების რისკის შემცირების მუნიციპალური სამუშაო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDG) მიერ დაფინანსებული და საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია ,,მერსი ქორფს"-ის მიერ განხორციელებული ,,მცირე კავკასიის ალიანსების ქვემო ქართლის პროგრამა"-ს ფარგლებში მიიღოს საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია ,,მერსი ქორფი"-საგან მარნეულის მუნიციპალიტეტის სახელით პროექტის მთლიანი ღირებულების (პროექტის სავარაუდო ღირებულება 21290.00 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში) 70%-ს ოდენობის გრანტი (15 000 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში) მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დააფინანსოს პროექტის ღირებულების დარჩენილი 30% (6290.00 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში) და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი